დენდროლოგიური პროექტი

თარიღი:

მისამართი: ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია

საკადასტრო კოდი: N. 01.72.14.014.935

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო

მიწის ნაკვეთის ფართობი: 2500 კვ.მ

კ-3 კოეფიციენტით საანგარიშო ფართობი: კ3=0.2=500 კვ.მ

დამკვეთი: შპს კუზანოვის კლინიკა Kuzanov clinic LLC

ზოგადი ნაწილი

ქალაქის ლანდშაფტის კეთილმოწყობაში მნშვნელოვანი ადგილი ენიჭებათ მწვანე ნარგავებს, რომლებიც განიხილებიან როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტები ქალაქის დაგეგმარებაში და კეთილმოწყობაში.

ქალაქის განაშენიანების პროცესში მნშვნელოვანი როლი ენჭებათ მწვანე ნარგავებს, ვინაიდან სწორედ მცენარეები წარმოადგენენ ჟანგბადის წყაროს, არიან მშთანთქმეები და შესაბამისად ასუფთავებენ ჰაერს მტვრისა და მავნე ნივთიერებებისაგან. მცენარეები ქმნიან რეკრეაციულ ზონებს რომლებიც ურბანული განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია. გარდა ამ ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობისა მცენარეებს ასევე ეკისრებათ დეკორატიული მნიშვნელობა, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

მოცემულ შემთხვევაში ჩვენს აღნიშნულ ტერიტორიაზე: მის. ქ. თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია. საკადასტრო კოდი: 01.72.14.014.935. კ3-500 კვ.მ. შესაბამისად კ-3 საანგარიშო ფართის სრულად ასათვისებლად გვევალება 20 ერთეული ხე-მცენარის დარგვა. ჩვენს შემთხვევაში არჩევანი შეჩერდა 6 ერთეული ჰიმალაის კედარისა, 7 ერთეული მინდვრის ნეკერჩხალისა და 7 ერთეული კავკასიური ცაცხვის გაშენებაზე, რომელიც ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადგენილი პრიორიტეტულ და რეკომენდირებულ ხეთა ჩამონათვალში იკავბენ: კედარი 36-ე ნეკერჩხალი მე-12 ხოლო ცაცხვი 32-ე ადგილს. მოხდება სულ 20 ერთეული ხის დარგვა.

არსებული, მოსაჭრელი მცენარეების ჩამონათვალი:

N	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)	ხე	1.4- 2.2	ჯანსაღი	4 ძირი
2	მაყვალი (	ბუჩქი	1.1-1.6	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი
3	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		1.4- 3.4	ჯანსაღი	
4	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		1.2-7.6	ჯანსაღი	
5	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		2.1-10.6	ჯანსაღი	
6	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		2.2-11.9	ჯანსაღი	
7	ვაზი (Vitis vinifera)	ხვიარა	0.4-0.8	ჯანსაღი	
8	ასკილი (Rosa cannina)	ბუჩქი	0.1-0.2	ჯანსაღი	
9	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		0.4-1.0	ჯანსაღი	
10	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		0.2-3.2	ჯანსაღი	
11	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		0.2-3.6	ჯანსაღი	
12	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		7.5	ჯანსაღი	
13	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		7.9	ჯანსაღი	
14	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		14.8	ჯანსაღი	
15	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		8.5	ჯანსაღი	
16	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		5.2	ჯანსაღი	
17	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		4.5-9.5	ჯანსაღი	
18	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		3.2-12.7	ჯანსაღი	
19	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		3.7.6.7	ჯანსაღი	
20	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		3.4	ჯანსაღი	
21	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		5.2	ჯანსაღი	
22	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		11.9	ჯანსაღი	
23	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		2.2-4.6	ჯანსაღი	
24	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		6.5	ჯანსაღი	
25	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		9.3	ჯანსაღი	
26	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		2.2	ჯანსაღი	
27	გლედიჩია (Gleditschia triacanthos)		1.8	ჯანსაღი	

გამწვანებაში გამოსაყენებელი მცენარეები:

N	სასიცოცხლო ფორმა	სახეობა (ქართულად, ლათინურად)	სიმაღლე	დიამეტრი	რაოდენობა	შენიშვნა
1	ხე	ჰიმალაის კედარი /Cedrus deodora	3მ (დან ზემოთ)	14 სმ-დან (გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი)	6	მარადმწვანე, გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი ქ.თბილისის მერიის მიერ დადგენილ პრიორიტეტულ მცენარეთა სიაში იკავებს 36-ე ადგილს.
2	ხე	მინდვრის ნეკერჩხალი/ Acer campestre	3.5მ (დან ზემოთ)	14 სმ-დან (გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი)	7	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი ქ.თბილისის მერიის მიერ დადგენილ პრიორიტეტულ მცენარეთა სიაში იკავებს მე-12 ადგილს.
3	ხე	კავკასიური ცაცხვი (Tilia begoniifolia)	3.5მ (დან ზემოთ)	14 სმ-დან (გარშემოწერილობა 20 სმ-ზე მეტი)	7	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი ქ.თბილისის მერიის მიერ დადგენილ პრიორიტეტულ მცენარეთა სიაში იკავებს 32 ადგილს.

გამწვანებაში გამოსაყენებელი მცენარეების ფოტოები



ქართული ნეკერჩხალი



ჰიმალაის კედარი



კავკასიური ცაცხვი

გამწვანების პროექტის განხორციელების გრაფიკი:

სამუშაოთა ჩამონათვალი	ვადა	შენიშვნა
ორმოს ამოღება და ნიადაგის დამუშავება	მე-III თვე (2027წ)	ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან 3 წლის განმავლობაში
მერქნიანი მცენარეების მოთავსება ორმოში	მე-III თვე (2027წ)	ხეების დარგვა დაიწყება პროექტით შეთანხმებულ ვადებში სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ.

მწვანე ნარგაობების გაშენებისა აგროტექნიკა:

ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება ხელს უწყობს მისი ფიზიკური და წყლის რეჟიმის გაუმჯობესებას, ტერიტორიაზე გავრცელებული სარეველა მცენარეებისგან, ქვებისგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და სხვ ფართობის განთავისუფლებას. ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია უახლესი ტექნიკის გამოყენებით) - მოხვნა, გადახვნა, გადაფარცხვა, დაპლანტაჟება. პირველ რიგში უნდა გაიწმინდოს ნაგვისგან, ქვებისგან, ამოიძირკოს ძირკვები და შემდეგ მოხდეს ორგანული/არაორგანული სასუქის შეტანის გზით ნიადაგის ნაყოფიერების განხორციელება, დარგული მწვანე ნარგავების კარგი ზრდა - განვითარების უზრუნველსაყოფად.

ხე–მცენარის დარგვა:

1. დასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,4 – 0,6 მ., ხოლო სიღრმე 0,3–0,5 მ.;
2. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:
3. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
4. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 – 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 – 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
5. კომი უნდა განთავისუფლდეს შესაფუთი მასალისაგან;

6. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღეროდა ვარჯი;
7. ხის-ბუჩქის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
8. ხის-ბუჩქის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან;
9. სარგავ ორმოში ცარიელი სივრცე ივსება ნიადაგის ნაზავით და ფრთხილად


იტკეპნება, რათა არ დაიშალოს კომი და არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება;
10. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;
11. ხის-ბუჩქის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

1. ხე-მცენარის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა–გაფხვიერება–განახლება;
4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების შეტანა და მორწყვა;
5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
8. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ – დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
9. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა–ფორმირების სამუშაოები.

აქვს,იგი წმენდს, აგრილებს და ზომიერს ხდის ჰაერს, ხოლო ქუჩებში - ხელს უწყობს მერქნიანი მცენარეების ნორმალურს ზრდა-განვითარებას. დაბუჩქული ბალახი, რომელსაც ღრმად აქვს მიწაში გადადგმული ფესვები, ნიადაგიდან იწოვს და ფოთლების საშუალებით დიდი რაოდენოით აორთქლებას წყალს, რაც აგრილებს და ასუფთავებს ჰაერს.

გენგეგმა
მასშტაბი 1-100



ფორმატი PAPER SIZE	ხელშეკრულების № CONTRACT №	პროექტის № PROJECT №	ფაილის სახელი FILE NAME
A3	...	...	...

პირობითი აღნიშვნები LEGEND

შენიშვნები NOTES

1.
2.
3.
4.

სიტუაციური სქემა
KEY PLAN

დამკვეთი
PRINCIPAL
შპს "კუზანოვის კლინიკა"

პროექტი
PROJECT
კუზანოვის კლინიკა

მისამართი
ADDRESS
ქ. თბილისი, აბრალურ უნივერსიტეტის ტერიტორია
ს.კ. 01.72.14.014.935

თანამდებობა Position	სახელი, გვარი Name, Surname	ხელმოწერა Signature
დირექტორი Director	ი. ბარნაბიშვილი I. Barnabishvili	
დირექტორი Director	ნ. ალექსიადისი N. Aleksiadis	
არ. მთ. არქიტექტორი Chief Architect of the Project	მ. იონიდისი M. Ionidisi	
კონსტრუქტორი Constructor	დ. ცანავა D. Canava	
მთ. ტექნოლოგი Chief Technologist	თ. ჯომარჯიძე T. Jomarjidze	
შემსრულა Performing work	მ. იონიდისი M. Ionidisi	
შემოწმება Checked by		

შპს. "აპექს სტუდიო 1"
საქართველო, თბილისი 0194, კახ ტბის შესახვევი №1
ტელ.: (+995 97) 77 55 70
E-mail: apexstudio.ge@ gmail.com

არქიტექტურული ნაწილი
ARCHITECTURE

მასშ. SCALE	1:120	თარიღი DATE OF ISSUE	02.09.2024

ნახაზი DRWG.

კორექტირება REVISIONS

№	კორექტ. REV.	თარიღი DATE
1		
2		
3		

სტადია STAGE	ინდექსი INDEX	ფურც. PAGES
მუშა პროექტი Working Draft		



დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი : შპს კუზანოვის კლინიკა Kuzanovi clinic LLC

საპროექტო ტერიტორია: ს.კ 01.72.14.014.935
მის. ქალაქი აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორია

ნებართვის გამცემი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

K -3 =0.2 კვ. მეტრი 500

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების დრო:
დენდროლოგიური პროექტის დასრულების დრო: 30.03.2027

დასარგავ მცენარეთა სახეობა:
1) ჰიმალაის კედარი - 6 ძირი, H – 3.0 მ.
2)მინდვრის ნეკერჩხალი - 7 ძირი, H – 3.5 მ.
3) კავკასიური ცაცხვი - 7 ძირი, H – 3.5 მ.

დასარგავ მცენარეთა მოვლაზე პასუხისმგებელი პირი:
შპს კუზანოვის კლინიკა Kuzanovi clinic LLC

დარგული მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა : 3 წელი

